სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01/55

ქ. რუსთავი

27 მარტი 2014 წელი

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კახა ბარათაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „მადაგონი 2“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ სადრაძეს სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე–3 მუხლის 1 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის (გამარტივებული შესყიდვა) თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე“. „კვირა“, „თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სამზარეულოს ინვენტარის შეძენა დანართი №1 –ის შესაბამისად (CPV 39200000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **416,25** (ოთხასთექვსმეტი ლარი 25 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 დაფინანსების წყარო: 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს აპარატის უფროსი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შ.პ.ს. „მადაგონი 2“-ის წარმომადგენელი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა;
- „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ.რუსთავი.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ველდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) ვალდებულების სრულ და ჯეროვნად გაწევამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

გ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად ან ხარისხობრივად ნაკლული საქონელი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს აპარატი (წარმოდგენილი მათი უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
თვითმმართველი ქალაქი რუსთავი მის: ქ.რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი № 216433287 სს „ლიბერთი ბანკი” ბ/კ № LBRTGE22 ა /ა № GE78LB0125148543037000	შ.პ.ს. „მადაგონი 2“ მის: ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. №3 საიდენტიფიკაციო კოდი № 416294557 ს/ს „საქართველოს ბანკი“ ბ/კ №BAGAGE22 ა/ა №GE45BG0000000272841600
თვითმმართველი ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კახა ბარათაშვილი	შ.პ.ს. „მადაგონი 2“–ს დირექტორი ავთანდილ სადრაძე

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: დავით ელიაძე

დანართი #1

#	დასახელება	განზ.ერთ.	რ-ბა	ფასი	თანხა
1	გრაფინი წყლის 2ლტ.	ცალი	2	5.5	11
2	წვენის ჭიქა 6 ცალიანი	კომპ.	2	23	46
3	წვენის ჭიქა 6 ცალიანი	კომპ.	2	11.8	23.6
4	ჯეზვე მეტალის	ცალი	3	11.5	34.5
5	ყავის 6 ცალიანი ჭიქა	კომპ.	1	17.5	17.5
6	ელ.ჩაიდანი	ცალი	1	28.75	28.75
7	ელ.ჩაიდანი	ცალი	2	27.5	55
8	ელ.ჩაიდანი	ცალი	2	30	60
9	ელ.ჩაიდანი	ცალი	1	32.5	32.5
10	ელ.ჩაიდანი	ცალი	4	22	88
11	ჭიქა კერამიკის	ცალი	2	7.5	15
12	ჭიქა კერამიკის	ცალი	1	2.3	2.3
13	ჭიქა კერამიკის	ცალი	1	2.1	2.1
	სულ				**416.25**

"ალდაგი"
416294557